

საქართველოს კანონი

„შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ“

თავი I. შესავალი დებულებები

**მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო**

1. ამ კანონის მიზანია ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა და შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება შენობის როგორც გარე, ისე შიდა კლიმატურ პირობებზე მოთხოვნებისა და ხარჯ-ეფექტიანობის გათვალისწინებით.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება როგორც ახალ, ასევე არსებულ შენობებზე, გარდა:

ა) შენობებისა, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, თუ ენერგოეფექტიანობის მინიმალურ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა გამოიწვევს მათი განსაკუთრებული ხასიათისა და გარეგნული იერსახის ცვლილებას;

ბ) საკულტო - რელიგიური დანიშნულების მქონე შენობებისა;

გ) დროებითი შენობებისა, რომლებიც განკუთვნილია არაუმეტეს ორი წლის ვადით გამოყენებისთვის, სამრეწველო ობიექტებისა, საამქროებისა და დაბალი ენერგო მოთხოვნის მქონე არასაცხოვრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობებისა;

დ) საცხოვრებელი შენობებისა, რომლებიც გამოიყენება ან განკუთვნილია წელიწადში ოთხ (4) თვეზე ნაკლები პერიოდით გამოსაყენებლად;

ე) ცალკე მდგომი შენობებისა, რომელთა სასარგებლო ფართი 50 მ<sup>2</sup>-ზე ნაკლებია.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ახალი შენობა - შენობა, რომლის მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ;

ბ) გათბობის ქვაბი - წვის კამერისა და ქვაბის კომბინირებული კორპუსი, რომელიც წვის შედეგად გამოყოფილ სითბოს გადასცემს სითხეს;

გ) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია - ენერგია რომელიც მიიღება არაწიალისეული, განახლებადი წყაროებიდან, კერძოდ: ქარის, მზის, აეროთერმული, გეოთერმული, ჰიდროთერმული, ზღვის ტალღების ენერგია, ჰიდროენერგია, განახლებადი ბიომასის ენერგია, ნაგავსაყრელებიდან და ასევე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებული გაზისა და ბიოგაზის ენერგია;

დ) განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიაზე მომუშავე ენერგომომარაგების დეცენტრალიზებული სისტემები- განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მისაღებად და შესანახად საჭირო მოწყობილობები, განლაგებული შენობებში, რომლებსაც ისინი ემსახურება ან მათთან ახლოს;

ე) დამოუკიდებელი ექსპერტი - სერტიფიცირებული ფიზიკური პირი ან აკრედიტებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შენობის ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირება ან გათბობის ან/და გაგრილების და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირება; ვ) ევროპული სტანდარტი - სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის, ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის ან ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ სტანდარტების რეესტრში;

ზ) ენერგეტიკული კლასი - შენობის ენერგოეფექტიანობის აღნიშვნისთვის გამოყენებული, ადვილად აღსაქმელი საზომი (მაგალითისთვის ლათინური ანბანის ასოები A-დან G-მდე);

თ) ენერგეტიკული გაერთიანება - ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია 2005 წლის ოქტომბერში ხელმოწერილი ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე;

ი) ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი - დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობის ამსახველი დოკუმენტი;

კ) ეფექტური ნომინალური სიმძლავრე - თბოწარმოქმნის მაქსიმალური სიმძლავრე, გამოხატული კვტ.-ში, რომლის მიწოდებაც უწყვეტი მუშაობისას მწარმოებლის მიერ განსაზღვრული და გარანტირებულია მის მიერ მითითებული ეფექტიანობის რეჟიმის დაცვის პირობებში;

ლ) ვენტილაციის სისტემა - შენობის შიდა ჰაერის დასამუშაველად და ჰაერცვლისათვის საჭირო კომპონენტების ერთობლიობა;

მ) თბური ტუმბო - მექანიზმი, დანადგარი ან მოწყობილობა, რომელიც სითბოს გადასცემს შენობებს ან სამრეწველო მოწყობილობებს ბუნებრივი გარემოდან, როგორცაა წყალი, ჰაერი ან ნიადაგი, სითბოს ბუნებრივი ნაკადის იმგვარად შეცვლის გზით, რომ ის მიედინება დაბალი ტემპერატურიდან მაღალი ტემპერატურისკენ. რევერსული თბური ტუმბოებს აგრეთვე შეუძლიათ შენობიდან სითბოს გატანა გარეთ, ბუნებრივ გარემოში;

ნ) თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების შენობა - შენობა, რომელსაც გააჩნია ძალიან მაღალი ენერგოეფექტიანობა, ენერჯის თითქმის ნულოვანი ან ძალიან მცირე მოთხოვნილებით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იფარება ადგილზე ან ახლო ტერიტორიაზე წარმოებული განახლებადი ენერჯის წყაროებიდან;

ო) კოგენერაცია - ელექტროენერჯისა და თბური ენერჯის ერთდროული გამომუშავების (წარმოების) პროცესი;

პ) მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია - შენობის გარსის ზედაპირის 25%-ზე მეტის რეკონსტრუქცია;

ჟ) პირველადი ენერჯია - განახლებადი და არაგანახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯია, რომელსაც არ გაუვლია გარდაქმნის ან ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადაყვანის პროცესი;

რ) სასარგებლო ფართი - შენობის ან შენობის ნაწილის ფართი, სადაც ენერჯია გამოიყენება შიდა კლიმატის შესაქმნელად;

ს) სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ტ) შენობა - მთლიანი ნაგებობა გარსის, მზიდი კონსტრუქციის და საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა სისტემის ჩათვლით, სადაც ენერჯია გამოიყენება შიდა კლიმატის შესაქმნელად, ცხელი წყლით მომარაგებისთვის, განათებისა და შენობების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა პირობების/მომსახურებების უზრუნველსაყოფად;

უ) შენობის გარსი - შენობის ინტეგრირებული ნაწილები, რომლებიც შენობის შიდა სივრცეს განაცალკევებს შენობის გარეთ არსებულ გარემოსგან;

ფ) შენობის ელემენტი - შენობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა ან შენობის გარსის ნაწილი;

ქ) შენობის ენერგოეფექტიანობა - გამოთვლილი ან გაზომილი ენერჯის რაოდენობა, რომელიც საჭიროა შენობის დანიშნულებით გამოყენებისას საჭირო ენერჯიაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და მათ შორის მოიცავს გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის, წყლის გაცხელებისა და განათებისთვის მოხმარებულ ენერჯიას;

დ) შენობის ნაწილი - შენობის სექცია, სართული ან ბინა, რომელიც შექმნილია ან გადაკეთებულია ცალკე გამოყენებისთვის;

ყ) შენობის ჯამური ენერგოეფექტიანობა - შენობის დანიშნულებით გამოყენებისათვის საჭირო პირველადი ენერგიის გამოთვლილი რაოდენობა, რომელიც მათ შორის მოიცავს გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის, წყლის გაცხელებისა და განათებისთვის მოხმარებულ ენერგიას;

შ) შენობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემები - შენობის ან შენობის ნაწილის გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის, წყლის გაცხელების, განათების ან ზემოთ აღნიშნულის კომბინირებულად უზრუნველყოფისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები;

ჩ) ცენტრალური გათბობა ან ცენტრალური გაგრილება - ცენტრალური წყაროდან ერთიანი ქსელის გამოყენებით რამოდენიმე შენობისთვის ან ადგილისთვის თბური ენერგიის მიწოდება ორთქლის, ცხელი წყლის ან გაციებული სითხის ფორმით, სივრცის ან გათბობისა ან გაგრილების პროცესის გამოსაყენებლად;

ც) ხარჯ-ოპტიმალური დონე - ენერგოეფექტიანობის დონე, რომელიც განაპირობებს შენობის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ყველაზე დაბალ დანახარჯებს;

ძ) ჰაერის კონდიციონირების სისტემა - ყველა იმ კომპონენტის ერთობლიობა, რომელიც საჭიროა შენობის შიდა ჰაერის დასამუშავებლად მისაწოდებელი ჰაერის ტემპერატურის რეგულირებისათვის, ვენტილაციის (ჰაერცვლის) დონის, ტენიანობისა და ჰაერის ფილტრაციის მართვასთან შესაძლო კომბინაციით.

## **თავი II. ენერგოეფექტიანობის მოთხოვნები შენობებისთვის და შენობების ნაწილებისთვის**

### **მუხლი 3. შენობების ენერგოეფექტიანობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია**

1. შენობების ენერგოეფექტიანობის განისაზღვრება ენერგიის იმ საანგარიშო რაოდენობის მიხედვით, რომელიც მოხმარება წლის განმავლობაში შენობის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2. შენობების ენერგოეფექტიანობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

3. შენობების ენერგოეფექტიანობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია მოიცავს შენობების მინიმუმ შემდეგ ასპექტებს:

- ა) თბური სიმძლავრე, თბოიზოლაცია, პასიური სითბო, გამაგრებელი ელემენტები, თბური ხიდები;
- ბ) გათბობის სისტემები და ცხელ-წყალ მომარაგება;
- გ) ჰაერის კონდიციონირების სისტემები;
- დ) ბუნებრივი და მექანიკური ვენტილაცია,
- ე) შიდა განათების სისტემები;
- ვ) შენობის არქიტექტურული პროექტი; მდებარეობა და ორიენტაცია, მათ შორის გარე კლიმატის გათვალისწინებით;
- ზ) მზის პასიური სისტემები;
- თ) შიდა კლიმატური გარემო;
- ი) შიდა ენერგეტიკული დატვირთვა;
- კ) განახლებადი ენერჯის სისტემები;
- ლ) კოგენერაციით გამოიმუშავებული ელექტროენერჯია.

4. გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია გამოიყენება ისეთი ტიპის შენობებისთვის, როგორცაა:

- ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები;
- ბ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები;
- გ) ოფისები და ადმინისტრაციული შენობები;
- დ) საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები;
- ე) სამედიცინო დაწესებულებების შენობები;
- ვ) სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები;
- ზ) სპორტული დანიშნულების შენობები;
- თ) საცალო და საბითუმო ვაჭრობის შენობები;
- ი) ენერჯის მომხმარებელი სხვა ტიპის შენობები.

5. გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია შენობის ენერგოეფექტიანობის გამჭვირვალედ წარმოსაჩენად, განსაზღვრავს ენერგოეფექტიანობის ჯამურ ინდიკატორის (EPI) - რომელიც გამოიხატება პირველადი ენერჯის წლიური

მოხმარების კვტ.სთ/მ<sup>2</sup> -ში გამოსახული ციფრული სიდიდით. გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ევროკომისიის 2012 წლის 16 იანვრის N 244/2012 დელეგირებულ რეგულაციასა და ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობას.

#### **მუხლი 4. ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები**

1. შენობების ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

2. შენობების ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება ყველა ახალ შენობაზე, შენობის ნაწილებზე, შენობის ელემენტებზე ასევე მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში - არსებულ შენობებსა და მათ ნაწილებზე.

3. შენობების ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები შესაძლოა ცალ-ცალკე განისაზღვროს სხვადასხვა კატეგორიის შენობებისთვის ხარჯ-ოპტიმალური დონის გათვალისწინებით.

4. ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები შენობების იმ ელემენტების შეცვლის და მოდერნიზაციისას, რომლებიც ქმნიან შენობის გარსს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ შენობის ენერგოეფექტიანობაზე განისაზღვრება ხარჯ-ოპტიმალური დონის გათვალისწინებით.

5. ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების ხარჯ-ოპტიმალური დონეები გამოითვლება შედარებითი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობა და შესაბამისი ეროვნული პარამეტრები.

6.. ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები არ ვრცელდება იმ შენობებზე და შენობის ნაწილებზე, რომლებიც მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის ობიექტია, თუ ამ მოთხოვნების გამოყენება არ იქნება ხარჯ-ეფექტიანი შენობის საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში.

7. შენობების, შენობის ნაწილების და შენობის ელემენტების ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები გადახედილ უნდა იქნეს რეგულარული ინტერვალით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. და საჭიროების შემთხვევაში განახლებული უნდა იქნას სამშენებლო სექტორში ტექნიკური პროგრესის შესაბამისად..

## მუხლი 5. ენერგოეფექტიანობის მოთხოვნები შენობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემებისთვის

1. ახალი და არსებული შენობებისთვის ჯამური ენერგოეფექტიანობის გათვალისწინებით, მოთხოვნები საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების სწორი შერჩევისა და მონტაჟის, მათი რეგულირებისა და მართვის მიმართ განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

2. საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების მოთხოვნები დგინდება ახალი, შეცვლილი და მოდერნიზებული საინჟინრო-ტექნიკური სისტემების მიმართ და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ტექნიკურად, ფუნქციურად და ეკონომიკურად განხორციელებადია.

3. საინჟინრო-ტექნიკური სისტემების მოთხოვნები ეხება სულ მცირე : გათბობის, ცხელი წყლით მომარაგების, ჰაერის კონდიციონირებისა და ვენტილაციის დიდ სისტემებს ან ამ სისტემების კომბინაციებს.

4. ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს შენობის მშენებლობისას ან მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისას, ენერჯის დაზოგვის მიზნით „ჭკვიანი“ აღრიცხვის სისტემებისა და საჭიროების შემთხვევაში ავტომატური კონტროლის (მართვის) სისტემების დამონტაჟების წახალისებას, განისაზღვრება ენერგოეფექტიანობის ეროვნული სამოქმედო გეგმით.

5. ახალი შენობის დაპროექტებისას ან არსებული შენობის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისას, ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი მაღალ ეფექტური ალტერნატიული სისტემები შეიძლება იქნეს გამოყენებული თუ ისინი ტექნიკურად, ფუნქციურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად განხორციელებადია:

ა) განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერჯიაზე მომუშავე ენერგომომარაგების დეცენტრალიზებული სისტემები;

ბ) კოგენერაცია;

გ) გათბობისა ან გაგრილების ცენტრალური სისტემები; განსაკუთრებით კი განახლებად ენერჯიაზე მომუშავე სისტემები;

დ) თბური ტუმბოები

6. ახალი შენობების სანებართვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს დასაბუთებას მაღალი ენერგოეფექტიანობის ალტერნატიული სისტემების ტექნიკური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასების თაობაზე..

### **მუხლი 6. თითქმის ნულოვანი ენერგომომხმარების შენობები**

1. ყველა შენობა, რომელზედაც მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილ იქნება 2029 წლის 30 სექტემბრის შემდეგ, უნდა აკმაყოფილებდეს თითქმის ნულოვანი ენერგომომხმარების შენობის მოთხოვნებს.

2. ყველა შენობა, რომელიც საჯარო დაწესებულების სარგებლობაში და საკუთრებაშია და რომელზედაც მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილ იქნება 2027 წლის 30 სექტემბრის შემდეგ უნდა აკმაყოფილებდეს თითქმის ნულოვანი ენერგომომხმარების შენობის მოთხოვნებს.

3. მოთხოვნები თითქმის ნულოვანი ენერგომომხმარების შენობების მიმართ არ არის სავალდებულო, როდესაც შენობის ექსპლუატაციის პერიოდში მისი ხარჯ-ეფექტიანობის მაჩვენებელი უარყოფითია.

### **მუხლი 7. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირება**

1. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირების, ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების განთავსების წესი და მასში შესატანი ინფორმაცია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

2. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს სულ მცირე, შემდეგს:

ა) შენობის ენერგოეფექტიანობის შეფასებას და შენობის ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების მნიშვნელობებს, რათა მისმა მესაკუთრებმა და დამქირავებელმა/მოიჯარემ შეძლონ შენობის ენერგოეფექტიანობის შეფასება;

ბ) რეკომენდაციებს შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობის ხარჯ-ოპტიმალური გაუმჯობესების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ენერგოეფექტიანობის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით ასეთი გაუმჯობესება რაციონალური არ არის.

3. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირება სავალდებულოა:

ა) ახალი შენობებისთვის ან მათი ნაწილებისთვის.

ბ) არსებული შენობებისთვის, რომლებიც იყიდება ან ქირავდება/იჯარით გაიცემა.

გ) არსებული შენობების ნაწილებისთვის, რომლებიც იყიდება ან ქირავდება/იჯარით გაიცემა.

დ) საჯარო დაწესებულების სარგებლობაში არსებული იმ შენობებისთვის, რომელთა საერთო ფართი 500 მ<sup>2</sup>-ს აღემატება და რომელსაც ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები, ხოლო 2023 წლის 30 ივნისიდან - საჯარო დაწესებულების სარგებლობაში არსებული იმ შენობებისთვის, რომელთა საერთო ფართი 250 მ<sup>2</sup>-ს აღემატება და რომელსაც ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები.

4. როდესაც შენობა ან შენობის ნაწილი მშენებლობის დასრულებამდე არის გაყიდული ან გაქირავებული, შენობის მესაკუთრე ვალდებულია უზრუნველყოს შენობის სამომავლო ენერგოეფექტიანობის შეფასება. ასეთ შემთხვევაში, ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი უნდა გაიცეს არაუგვიანეს შენობის ექსპლუატაციაში მიღებისთანავე.

5. შენობის ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირება მესაკუთრის ვალდებულებაა და ხორციელდება დამოუკიდებელ ექსპერტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. ყველა სავარაუდო მყიდველს ან დამქირავებელს/მოიჯარეს უნდა წარედგინოს მშენებარე ან აშენებული შენობის, ან გასაქირავებლად/იჯარით გასაცემად განკუთვნილი შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობა სერტიფიკატი ან მისი ასლი ხოლო შენობის ან შენობის ნაწილის გაყიდვის ან გაქირავების შემთხვევაში შენობის ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი უნდა გადაეცეს მყიდველს ან დამქირავებელს/მოიჯარეს.

7. შენობის ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას შემდეგ შენობებში:

ა) საჯარო დაწესებულების სარგებლობაში არსებული იმ შენობებისთვის, რომელთა საერთო ფართი 500 მ<sup>2</sup>-ს აღემატება და რომელსაც ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები, ხოლო 2023 წლის 30 ივნისიდან - საჯარო დაწესებულების სარგებლობაში არსებული იმ შენობებისთვის, რომელთა საერთო ფართი 250 მ<sup>2</sup>-ს აღემატება და რომელსაც ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები.

ბ) ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის მქონე საზოგადოებრივი დანიშნულების იმ შენობებში, რომელთა საერთო ფართი 500 მ<sup>2</sup>-ს აღემატება და რომელსაც ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები.

8. შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატში მოცემული ენერგოეფექტიანობის ინდიკატორი ან კლასი ასახული უნდა იყოს შესაბამის სარეკლამო-კომერციულ განცხადებაში, როდესაც იყიდება ან ქირავდება/იჯარით გაიცემა:

ა) ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის მქონე შენობა;

ბ) ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის მქონე შენობაში განთავსებული შენობის ნაწილი;

გ) ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის მქონე შენობის ნაწილი.

9. შენობის ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა არის 10 წელი

### **მუხლი 8. შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირება**

1. გათბობის და ჰაერის კონდიციონირების სისტემების რეგულარული ინსპექტირების წესები და პროცედურები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

2. 20 კვტ.- ზე მეტი ეფექტური ნომინალური სიმძლავრის მქონე გათბობის ქვაბის და 12კვტ.-ზე მეტი ეფექტური ნომინალური სიმძლავრის კონდიციონირების სისტემების ხელმისაწვდომი ნაწილები რეგულარული ინსპექტირების ობიექტებს წარმოადგენენ.

3. ინსპექტირება უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სისტემების ეფექტიანობის და სიმძლავრის შეფასებას შენობის გათბობისა და გაგრილების მოთხოვნებთან მიმართებით სიმძლავრის შეფასების განმეორებით ჩატარება არ არის საჭირო გათბობის/კონდიციონირების სისტემაში ცვლილებების განხორციელებამდე ან გათბობა/გაგრილებაზე შენობის მოთხოვნების შეცვლამდე.

4. გათბობის სისტემა, რომელსაც აქვს 100 კვტ-ზე მეტი ეფექტური ნომინალური სიმძლავრის გათბობის ქვაბი, ინსპექტირებას ექვემდებარება ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო გაზზე მომუშავე გათბობის ქვაბი კი - ოთხ წელიწადში ერთხელ.
5. გათბობის და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირება მესაკუთრის ვალდებულებაა.
6. გათბობის ან ჰაერის კონდიციონირების სისტემების ყოველი ინსპექტირების შემდგომ უნდა შედგეს ინსპექტირების ანგარიში, რომელიც გადაეცემა შენობის მესაკუთრეს ან დამქირავებელს/მოიჯარეს. ინსპექტირების ანგარიში მოიცავს ინსპექტირების შედეგებს და რეკომენდაციებს ინსპექტირებული სისტემების ენერგოეფექტიანობის ხარჯ-ეფექტიანი გაუმჯობესების შესახებ.
7. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ მუხლის 1- მე-4 პუნქტებში მოცემული ინსპექტირების ალტერნატივად შეიმუშაოს რეკომენდაციები გათბობის ქვაბის გამოცვლის, გათბობის სისტემაში სხვადასხვა ცვლილებების და ასევე გათბობის ქვაბის ეფექტურობისა და შესაბამისი სიმძლავრის შესაფასებლად ალტერნატიული გადაწყვეტების შესახებ.
8. ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში, მათი შედეგების შესაბამისობის შესახებ უნდა მომზადდეს ანგარიში და წარედგინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

## **მუხლი 9. დამოუკიდებელი ექსპერტი**

1. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირება და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირება ხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ
2. დამოუკიდებელი ექსპერტის აკრედიტაციის და სერტიფიცირების, მონიტორინგისა და რეგისტრაციის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

3. ფიზიკური პირისთვის გაცემული სერტიფიკატი ძალაშია მისი გაცემიდან 5 წლის განმავლობაში, ხოლო იურიდიული პირის აკრედიტაციის ვადაა 5 წელი. სერტიფიკატის და აკრედიტაციის ვადის გასვლის შემდგომ პირს უფლება აქვს თავიდან გაიაროს სერტიფიცირება ან აკრედიტაცია

4. დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელსაც გაუუქმდა სერტიფიკატი ან აკრედიტაცია, უფლება აქვს ხელახალი სერტიფიცირება ან აკრედიტაცია გაიაროს სერტიფიკატის/აკრედიტაციის გაუქმებიდან არა უდრეს 6 თვისა.

5. სამინისტრო ქმნის, აახლებს და თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს დამოუკიდებელი ექსპერტების მონაცემთა ბაზას.

6. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, პირს, რომელიც შენობის პროექტირება-მშენებლობის ან/და ფუნქციონირების პროცესში იღებდა ან იღებს მონაწილეობას არ აქვს უფლება განახორციელოს ამ შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირება და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშის მომზადება. ამ პუნქტის მიზნებისთვის ასეთ პირად მიიჩნევა :

ა) შენობის დამპროექტებელი;

ბ) დეველოპერი, მშენებელი ან/და შენობების ენერგოეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით დანადგარებისა და ტექნიკური მოწყობილობების მიმწოდებელი;

გ) შენობის მოვლასა და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების ტექნიკური სისტემების გამართულობის უზრუნველყოფაში მონაწილე პირი;

დ) შენობაში ენერგოდამზოგავი ღონისძიებების განმახორციელებელი პირი.

## **მუხლი 10. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შემოწმება**

1. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატები და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშები ექვემდებარება შემოწმებას და გადამოწმებას.

2. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ანგარიშების შემოწმებისა და გადამოწმების წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.

3. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ინსპექტირების ანგარიშების რეესტრს/მონაცემთა ბაზას ქმნის და მისი წარმოების წესებს ამტკიცებს სამინისტრო.

4. დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია სამინისტროს ელექტრონული ფორმით გადასცეს ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი ან/და ინსპექტირების ანგარიში და სერტიფიკატის ან/და ანგარიშის მოსამზადებლად გამოყენებული მონაცემები.

5. დამოუკიდებელმა ექსპერტმა ამ მუხლის მეხუთე პუნქტში აღნიშნული სერტიფიკატი ან/და ანგარიში სამინისტროს უნდა გადასცეს მისი მომზადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. სამინისტრო ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული სერტიფიკატი ან/და ანგარიში შეიტანოს შესაბამის რეესტრში მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

7. სამინისტრო ახორციელებს რეესტრში შეტანილი შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატებისა და ინსპექტირების ანგარიშების შემოწმებას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. შემოწმებული სერტიფიკატებისა და ინსპექტირების ანგარიშების რაოდენობა წლიურად გაცემული სერტიფიკატებისა და ანგარიშების მთლიანი რაოდენობის მნიშვნელოვან პროცენტს უნდა შეადგენდეს. ყოველწლიურად შესამოწმებელი სერტიფიკატების და ინსპექტირების ანგარიშების პროცენტული ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

8. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების შემოწმება ეფუძნება ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ მეთოდს:

ა) შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატში შეტანილი მონაცემების და შედეგების შემოწმება;

ბ) შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატში შეტანილი მონაცემების შემოწმება და შედეგების გადამოწმება შესაბამისი რეკომენდაციების გაცემით;.

გ) შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატში შეტანილი მონაცემების სრული შემოწმება, შედეგების სრული გადამოწმება შესაბამისი რეკომენდაციების გაცემით და შენობის ადგილზე დათვალიერებით.

9. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების შემოწმებასთან და გადამოწმებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად რეგულირდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

### **მუხლი 11. საინფორმაციო და წამახალისებელი ფინანსური ღონისძიებები**

1. საქართველოს მთავრობა შენობების ენერგოეფექტიანობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების წახალისების მიზნით უზრუნველყოფს:

ა) შენობების მესაკუთრეებისთვის და დამქირავებლებისათვის/მოიჯარეებისთვის შენობების ენერგოეფექტიანობის, შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატებისა და ინსპექტირების ანგარიშების, შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესების ხარჯ-ეფექტიანი საშუალებებისა და არსებული ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის, მეთოდოლოგიური მასალებისა და სახელმძღვანელოების მომზადებასა და გავრცელებას,

ბ) შენობების ენერგოეფექტიანობის სფეროში მომუშავე ექსპერტებისათვის, შესაბამისი ტრენინგების, სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის შესახებ გზამკვლელებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

გ) საჯარო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატში ასახული რეკომენდაციების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების ეროვნულ გეგმებში ასახვას;

დ) ყოველ სამწლიან პერიოდში შენობების ენერგოეფექტიანობის წამახალისებელი ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების ნუსხის შედგენასა და შექმნას, მათ შორის იმ ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრას, რომელიც ხელს შეუწყობს შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებას. და მათ განახლებას

2. შენობების მშენებლობის ან მათი მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისას წამახალისებელი ზომების შეთავაზებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ენერგოეფექტიანობის ხარჯ-ოპტიმალური დონე .

### **თავი III. პასუხისმგებლობა ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის**

**მუხლი 12. შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირების განუხორციელებლობა**

1. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირების განუხორციელებლობა გამოიწვევს შესაბამისად შენობის ან შენობის ნაწილის მესაკუთრის დაჯარიმებას -

150 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 300 ლარის ოდენობით;

150 მ<sup>2</sup>-დან - 250 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;

250 მ<sup>2</sup>-დან - 500 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით;

500 მ<sup>2</sup>-დან ზევით შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 1500 ლარის ოდენობით.

2. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი სამომავლო ენერგოეფექტიანობის შეფასების განუხორციელებლობა გამოიწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას -

150 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 300 ლარის ოდენობით;

150 მ<sup>2</sup>-დან - 250 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;

250 მ<sup>2</sup>-დან - 500 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით;

500 მ<sup>2</sup>-დან ზევით შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 1500 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას პირველად შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

### **მუხლი 13. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის წარდგენის ან/და გადაცემის წესების დარღვევა**

1. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შენობის ან შენობის ნაწილის ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის წარუდგენლობა ან/და გადაუცემლობა გამოიწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას -

150 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 300 ლარის ოდენობით;

150 მ<sup>2</sup> -დან - 250-მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;

250 მ<sup>2</sup> -დან -500 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით;

500 მ<sup>2</sup>-დან ზევით შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 1500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას პირველად შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

#### **მუხლი 14. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილზე განუთავსებლობა**

1. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილზე განუთავსებლობა გამოიწვევს მესაკუთრის ან დამქირავებლის/მოიჯარის დაჯარიმებას - 200 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას პირველად შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

#### **მუხლი 15. შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატში ასახული ენერგოეფექტიანობის ინდიკატორის ან კლასის სარეკლამო-კომერციულ განცხადებაში განუთავსებლობა**

1. შენობის ან მისი ნაწილის გაყიდვის ან/და გაქირავების/იჯარით გაცემის შესახებ სარეკლამო-კომერციულ განცხადებაში ამ კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი ინფორმაციის განუთავსებლობა გამოიწვევს შენობის მესაკუთრის დაჯარიმებას - 200 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას პირველად შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

## **მუხლი 16. გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების განუხორციელებლობა**

1. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ინსპექტირების განუხორციელებლობა გამოიწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას -

150 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 300 ლარის ოდენობით;

150 მ<sup>2</sup> -დან -250 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;

250 მ<sup>2</sup> -დან -500 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით;

500მ<sup>2</sup>-დან ზევით შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 1500 ლარის ოდენობით.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ინსპექტირების წესების დარღვევა გამოიწვევს მესაკუთრის დაჯარიმებას -

150 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 300 ლარის ოდენობით;

150 მ<sup>2</sup> -დან -250 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;

250 მ<sup>2</sup> -დან -500 მ<sup>2</sup>-მდე შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით;

500 მ<sup>2</sup>-დან ზევით შენობის ან შენობის ნაწილის შემთხვევაში - 1500 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას პირველად შეფარდებული ჯარიმის გაორმაგებული ოდენობით.

## **მუხლი 17. დამოუკიდებელი ექსპერტების პასუხისმგებლობა**

1. ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებით ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დამოუკიდებელი ექსპერტის გაფრთხილებას, ხოლო ქმედების

განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - მისთვის შესაბამისი სერტიფიკატის/აკრედიტაციის გაუქმებას.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ინსპექტირების ანგარიშის გაცემის წესების დარღვევა გამოიწვევს დამოუკიდებელი ექსპერტის გაფრთხილებას, ხოლო ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - მისთვის შესაბამისი სერტიფიკატის/აკრედიტაციის გაუქმებას.

3. ამ კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადის განმავლობაში ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის ან ინსპექტირების ანგარიშის სამინისტროსთვის წარუდგენლობა გამოიწვევს დამოუკიდებელი ექსპერტის გაფრთხილებას, ხოლო ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - მისთვის შესაბამისი სერტიფიკატის/აკრედიტაციის გაუქმებას.

### **მუხლი 18. ჯარიმის დაკისრებისა და გადახდის წესი**

1. დამრღვევის დაჯარიმების შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სამინისტრო.

2. ჯარიმა გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში. ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ დამრღვევს დაეკისრება საურავი ჯარიმით დადგენილი თანხის ოდენობით, რომლის გადასახდელადაც განესაზღვრება 30 კალენდარული დღე.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## თავი IV. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

### მუხლი 19. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება:

ა) „შენობების ენერგოეფექტიანობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;

ბ) „შენობებისთვის, შენობის ნაწილებისთვის ან შენობის ელემენტებისთვის ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების დადგენის შესახებ“;

გ) „ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების ხარჯ-ოპტიმალური დონეების გამოთვლის შედარებითი მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;

დ) „ენერგოეფექტიანობის გამოსათვლელი ერთი ან რამდენიმე პროგრამის შემუშავებისა და მათი გამოყენების წესის შესახებ“;

ე) „არსებულ და ახალ შენობებში საინჟინრო-ტექნიკური სისტემების ჯამური ენერგოეფექტიანობის, შერჩევისა და მონტაჟის, რეგულირებისა და ტექნიკური სისტემების მართვის წესების დადგენის შესახებ“;

ვ) „თითქმის ნულოვანი ენერგომომხმარების შენობების რაოდენობის გაზრდის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;

ზ) „შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიცირების წესის განსაზღვრის შესახებ“;

თ) „შენობების გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების წესის განსაზღვრის შესახებ“;

ი) „შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების გამცემი და შენობების გათბობა-ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტების სერტიფიცირების და აკრედიტაციის წესების განსაზღვრის შესახებ“;

კ) „ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების შემოწმებისა და გადამოწმების, გათბობა-კონდიცირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშების წესების დადგენის შესახებ“.

2. 2019 წლის 30 ივნისამდე სამინისტრომ უზრუნველყოს „შენობების ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ინსპექტირების ანგარიშების რეესტრის/მონაცემთა ბაზის წარმოების შესახებ“ წესის მიღება.

3. 2020 წლის 30 მარტისთვის სამინისტრომ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარუდგინოს:

ა) პირველი ანგარიში მინიმალური ენერგოეფექტიანობის ხარჯ-ოპტიმალური ღონის ანალიზის შესახებ; და

ბ) ანგარიში გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების, ინსპექტირების ალტერნატიული ღონისძიებების რეგულარულ შემოწმებასთან შესაბამისობის შესახებ.

## **მუხლი 20. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი - მე-18 მუხლებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი-მე-11 მუხლები ამოქმედდეს 2019 წლის 30 ივნისიდან.

6. ამ კანონის მე-12 - მე-18 მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

*გიორგი მარგველაშვილი*